მარკო პოლო, ქვეყნიერების მრავალფეროვნებისთვის, თბილისი, 2007.

მარკო პოლო (1254-1324) - ვენეციელი ვაჭარი და მოგზაური. ავტორი წიგნისა - *ქვეყნიერების მრავალფეროვნებისთვის.* ამ წიგნმა ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა XIV-XV საუკუნეების ზღვაოსნობაზე, კარტოგრაფებსა და მწერლებზე, მათ შორის, ქრისტეფორე კოლუმბზე. მარკო პოლოს წიგნი მნიშვნელოვანი წყაროა შუა საუკუნეების გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ისტორიული ცოდნის თვალსაზრისით სომხეთის, საქართველოს, ასევე ირანის, ჩინეთის და ინდოეთის შესახებ.

საქართველოს შესახებ

ქართველებს ჰყავთ მეფე, რომელსაც ყოველთვის დავით მელიქს უწოდებენ, ანუ, ფრანგულად რომ ვთქვათ, დავით მეფეს. იგი თათრების ქვეშევრდომია. ძველთაგანვე, ყველა მეფეს, ვინც კი ამ პროვინციაში დაიბადება მარჯვენა ბეჭის ქვეშ არწივის ნიშანი უჩნდება. ქართველები ლამაზი ხალხია, ომში მამაცი და კარგი მოისარი. ქრისტიანები არიან და ბერძენთა კანონს მისდევენ. თმები მოკლედ აქვთ შეჭრილი, როგორც ჩვენს სამღვდელოებას.

ეს ის პროვინციაა, რომელიც ალექსანდრემ ვერ გამოიარა, რადგანაც ერთი მხრიდან ზღვა ესაზღვრება, მეორედან კი - მთები. ამ მხრიდან ისეთი ვიწრო ბილიკია, რომ ცხენით გავლა შეუძლებელია. ეს ვიწრო გზა თორმეტ მილზე მეტი სიგრძისაა, ასე რომ, ქვეყნად ცოტა ვინმე თუ შეძლებს მის გამოვლას: ამიტომ ალექსანდრემაც ვერ გამოიარა. აქვე ააგებინა ალექსანდრემ კოშკი და დიდი ციხესიმაგრე რათა მათ (ქართველებს) მასზე ვერ გაელაშქრათ. მას რკინის კარი ჰქვია. ეს ადგილი მოხსენიებულია ალექსანდრეს წიგნში, სადაც ნათქვამია, რომ მან თათრები მთებში მოიმწყვდია. თუმცა ეს თათრები კი არ იყვნენ, არამედ ხალხი,

რომელსაც კუმანები ჰქვია და სულ სხვა ტომია, რადგან თათრები ამ დროს სულაც არ ყოფილან.

ამ პროვინციაში ყველა ტყე ბზისაა. ქართველებს ძალიან გამაგრებული ქალაქები აქვთ. ისინი ძალიან წმინდა აბრეშუმისაგან მსოფლიოში საუკეთესო ოქროთი მოსირმულ ქსოვილებს ამზადებენ. მათ მსოფლიოში საუკეთესო მიმინოები ჰყავთ. აქ ყველანაირი საკვების სიუხვეა. მთელი პროვინცია დიდი მთებითაა მოფენილი. ასე, რომ თათრებმა მისი სრულად დაპყრობა ვერ შეძლეს.

აქ არის წმინდა ლეონარდის მონასტერი, სადაც შემდეგ სასწაულს ვხედავთ: მონასტრის წინ მთის შუაგულიდან გადმოდის წყლის ნაკადი და იქვე გუბდება ტბად, სადაც არანაირი თევზი არ მოიპოვება არანაირ დროს, გარდა დიდმარხვისა. თევზჭერა დიდმარხვის პირველ დღეს იწყება და დიდ შაბათამდე გრძელდება და თევზიც უხვადაა. ოღონდ, ვერცერთს ვეღარ დაიჭერენ მომავალ დიდ მარხვამდე.

უნდა იცოდეთ, რომ ამას, რის შესახებაც მოგახსენეთ, ჰქვია გელაქუნის ზღვა. მისი გარშემოწერილობა შვიდასი მილია. იგი ყველა ზღვიდან 12 დღის სავალზე მდებარეობს. მასში მრავალი დიდი მდინარე ჩაედინება. გენუელი ვაჭრები ამ ზღვაზე თავიანთი ნავებით დაცურავენ. იქიდან მოდის აბრეშუმი, რომელსაც „გელე“ ჰქვია[1].

სომხეთის შესახებ

არსებობს ორი არმენია - მცირე და დიდი. მცირე არმენიის ბატონი კარგად განაგებს სამართალს და დიდ ყაენს ემორჩილება. აქ მრავალი დაბა და ციხესიმაგრეა, ყველაფერი უხვადაა და ბევრია სანადიროდ ვარგისი ფრინველი და ოთხფეხიც. ერთ დროს ეს ფრიად ღირსეული კაცების ქვეყანა იყო, ახლა კი ყველანი წამხდარნი არიან. მათ მხოლოდ ერთი თვისება შერჩენიათ: ლოთობა. ამის გარდა, უნდა იცოდეთ, რომ ზღვის სანაპიროზე მდებარეობს ქალაქი ლაიასი, სადაც ფრიად მნიშვნელოვანი ბაზარია. აქ იყრის თავს ქვეყნის შიგნიდან მომავალი ყველანაირი

[1] გვ. 12-15.

საქონელი. გენუის, ვენეციისა და სხვა ქალაქების ვაჭრებიც აქ ყიდულობენ ყოველივეს - ქსოვილებსა და სხვა ძვირფასს საქონელს. ყველა ვაჭარი, ვისაც სახმელეთო გზით სურს მგზავრობა, ამ ქალაქიდან იწყებს.

დიდი არმენია ერთობ ვრცელი პროვინციაა. მის დასაწყისშივე მდებარეობს ქალაქი, სახელად არძინგა, სადაც აწარმოებენ მსოფლიოში საუკეთესო ტილოს ქსოვილებს. აქვე ცხელ წყაროებზე აშენებული საუკეთესო და უმშვენიერესი აბანოები. აქ მრავალი ქალაქი და ციხესიმაგრეა, რომელთაგან ყველაზე წარჩინებულია არძინგა, მთავარეპისკოპოსის საკათედრო ტაძარი. არის კიდევ არძიძონი და არძიჩი. ეს ძალიან დიდი პროვინციაა. ზაფხულობით აქ აგროვებენ აღმოსავლეთის თათრების კუთვნილ მთელ პირუტყვს, რადგან ძალიან კარგი საძოვრებია, ზამთრობით კი ისევ სხვაგან მიერეკებიან, რადგან აქ დიდი სიცივე იცის და პირუტყვი ვერ ძლებს. ამას გარდა უნდა იცოდეთ, რომ დიდ არმენიაში ერთ მაღალ მთაზე, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს, მდებარეობს ნოეს კიდობანი, იმ სამეფოს სიახლოვეს, რომელსაც მოსული ჰქვია და იქ ქრისტიანები, ანუ იაკობიტები და ნესტორიანელები ცხოვრობენ, რომელთა შესახებ მოგითხრობთ. ჩრდილოეთიდან მას საქართველო ესაზღვრება. და ამ საზღვარზე არის ერთი წყარო, საიდანაც გამოდის ზეთი ისეთი რაოდენობით, რომ ერთ ჯერზე ასი ხომალდის დატვირთვა იქნებოდა შესაძლებელი. ეს ზეთი საჭმელად არ ვარგა, სამაგიეროდ, კარგია როგორც საწვავი და საცხი მღერის და სხვა რამ დაავადებათა წინააღმდეგ. ხალხი შორიდან მოდის ამ ზეთის ასაღებად და მთელ ქვეყანაში საწვავად სხვა რამეს არ იყენებენ[2].

მთარგმნელი ნ. ლადარია

[2] გვ. 10-12.

ᲩᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ ᲯᲐᲜᲯᲒᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲞᲝᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

ᲛᲐᲠᲘᲐᲜ ᲯᲘᲠᲙᲘᲐ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲚᲑᲐ ᲛᲔᲡᲘᲯᲘ